

რეკომენდაცია

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ქალბატონო ნ.,

2021 წლის 21 მაისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N5431/21) მომართა არასრულწლოვანი ნ. ხ.-ს მშობელმა ა. მ.-მ. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ნ. ხ.-ს მიმართ, რომელიც არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, შპს „არტ-თაიმ სტუდიის“ მხრიდან ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით. განმცხადებელის ინტერესებს სახალხო დამცველის აპარატში რ. მ. წარმოადგენს.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის პოზიცია

განცხადების თანახმად, ა. მ., რომელსაც ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი, ნ. ხ., ფსიქოლოგის რჩევით, ნ. ხ.-სთვის ეძებდა შემოქმედებით სტუდიას. ფსიქოლოგის შეფასებით, ხატვა, ძერწვა და მსგავსი აქტივობებით დატვირთვა ნ.-ს ხელს შეუწყობდა, უკეთ გამოემუშავებინა სოციალური უნარ-ჩვევები. 2021 წლის მარტის თვეში ა. მ. დაუკავშირდა საგანმანათლებლო და შემოქმედებით სტუდიას „არტ-თაიმ სტუდია“, რათა გაერკვია, ჰყავდათ თუ არა გადამზადებული სპეციალისტები და შეძლებდნენ თუ არა მის 6 წლის შვილთან მუშაობას, რომელსაც აქვს დაუნის სინდრომი. სტუდიის წარმომადგენელმა, ნ. ბ.-მ, განმცხადებელს განუმარტა, რომ შესაძლებელი იყო ნ. ხ. მიეყვანა სტუდიაში ერთი დღით, დააკვირდებოდნენ მუშაობის პროცესს და, თუ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, სამომავლოდაც გააგრძელებდნენ ბავშვთან მუშაობას.

2021 წლის 13 მარტს, შეთანხმებისამებრ, განმცხადებელმა ნ. ხ. მიიყვანა „არტ-თაიმ სტუდიაში“, დატოვა განსაზღვრული დროით და საღამოს წამოსაყვანად მიაკითხა. დაწესებულებაში მისულ ა. მ.-ს განუმარტეს, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა და სწავლების პროცესში არანაირი პრობლემა არ გამოვლენილა. ამასთან, იმავე საღამოს სტუდიის წარმომადგენელი განმცხადებელს დაუკავშირდა და უთხრა, რომ თუ თანახმა იყო მათთან თანამშრომლობის გაგრძელებაზე, შეეძლო ბავშვი მეორე

დღესვე მიეყვანა. ა. მ.-ს ასევე განუმარტეს, რომ მას უნდა გადაეხადა მარტის თვის სწავლის საფასური. ა. მ. დათანხმდა შეთავაზებას და 14 მარტს ბავშვი კვლავ წაიყვანა სტუდიაში.

ბავშვის დაწესებულებაში დატოვებიდან ნახევარი საათის შემდგომ, ა. მ.-ს დაუკავშირდა სტუდიის ხელმძღვანელი და სტუდიაში სასწრაფოდ მისვლა და ბავშვის წაყვანა მოსთხოვა. სტუდიაში მას განუმარტეს, რომ ნ. ხ.-ს ჰქონდა ქცევის პრობლემები, საკუთარი და სხვა ბავშვების მიმართ დამაზიანებელი ქცევები, რაც გამოიხატებოდა ხელსახოცისა და ფუნჯის პირში ჩადებაში, იატაკზე წოლასა და სხვა ბავშვებისათვის მეცადინეობაში ხელის შეშლაში, თუმცა, ბავშვებისათვის მეცადინეობაში ხელშეშლა კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა, არ განუმარტავთ. აღნიშნულის გათვალისწინებით, სტუდიის ხელმძღვანელმა ბავშვის წაყვანა და 2 დღის სწავლის საფასურის - 20 ლარის გადახდა მოითხოვა.

ა. მ.-ს მითითებით, ბავშვს არ ახასიათებს მსგავსი სახის ქცევითი ხასიათის სირთულებები. ნ. ხ. წლების მანძილზე გადიოდა რეაბილიტაციის პროგრამას სარეაბილიტაციო ცენტრის ფსიქოსომატური რეაბილიტაციის პროგრამის კოორდინატორთან, ფსიქოლოგ ნ. გ.-სთან, რომელიც, ნ-სთან მუშაობისას, პროგრამით გათვალისწინებული ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობების განხორციელებისას, არანაირ სირთულეს არ აწყდებოდა.

განმცხადებლის განმარტებით, შპს „არტ-თაიმ სტუდიამ“ 2021 წლის 13 მარტს, მასთან შეთანხმების გარეშე, საკუთარ ფეისბუქ გვერდზე ატვირთა ვიდეო ნ. ხ.-ს მონაწილეობით. ვიდეოში ნაჩვენებია იყო, თუ როგორ კარგ გარემოში არიან ბავშვები და რა ეფექტიანად ხდება მათი ჩართვა სასწავლო პროცესში. 2021 წლის 14 მარტს განმცხადებელმა მოითხოვა ვიდეოს წაშლა მათი ფეისბუქ გვერდიდან, რადგან, მისი შეფასებით, ვიდეო არ ასახავდა სინამდვილეს სტუდიაში არსებული გარემოს შესახებ, ატარებდა სარეკლამო ხასიათს და განთავსებული იყო მისი ნებართვის გარეშე. როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, სტუდიამ უგულვებელყო განმცხადებლის მოთხოვნა და ვიდეო საკუთარი გვერდიდან მხოლოდ მას შემდეგ წაშალა, როდესაც განმცხადებელმა საქმეში დაუნის სინდრომის ასოციაციის აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი დ. დ. ჩართო და საკითხი გაახმაურა.

აღნიშნული ფაქტის შემდეგ, ა. მ.-მ ნ. ხ. მიიყვანა სხვა, ახალ საგანმანათლებლო დაწესებულებაში - „ბურატინო“, სადაც ბავშვი სრულიად ჩაერთო ინდივიდუალურ და ჯგუფურ აქტივობებში და არანაირ, მათ შორის არც ქცევითი ხასიათის, სირთულეებს ადგილი არ ჰქონია¹. განმცხადებლის შეფასებით, აღნიშნული ადასტურებს „არტ თაიმ სტუდიის“ პოზიციის მცდარობასა და მათი მხრიდან ნ. ხ.-ს უფლებების უხემ დარღვევას. ა. მ.-ს მოსაზრებით, შპს „არტ-თაიმ სტუდიამ“ ნ.-ს უარი უთხრა უკვე შეთანხმებული მომსახურების გაგრძელებაზე მხოლოდ ამავე დაწესებულებით მოსარგებლე სხვა ბავშვების მშობელთა სტერეოტიპული განწყობებისა და აქედან გამომდინარე განხორციელებული ზეწოლის გათვალისწინებით.

¹ საგანმანათლებლო დაწესებულება „ბურატინოს“ დახასიათება ნიკოლოს ხიტირთან დაკავშირებით, იხ. ე.წ. სქრინშოტები

მტკიცებულების სახით, განმცხადებელმა სახალხო დამცველს წარმოუდგინა 2021 წლის 23 მარტის საგაზეთო სტატია², რომელშიც ასახულია ფსიქოლოგ ნ. გ-ის შეფასება ნ. ხ.-სთან დაკავშირებით. სტატიაში აღნიშნულია, რომ ნ. ხ. მე-40 დღიდან ჩაერთო ფსიქოსომატური რეაბილიტაციის პროგრამაში და დღემდე სხვადასხვა პროგრამის ბენეფიციარია. ფსიქოლოგის შეფასებით, ნ. ხ.-ს განვითარების თვალსაზრისით, აქვს გარკვეული სირთულეები, თუმცა ქცევასთან დაკავშირებით პრობლემა არასოდეს ჰქონია. მისთვის, ისევე როგორც ამ ასაკის ნებისმიერი ბავშვისთვის, დამახასიათებელია ბავშვური სიჯიუტე. ბავშვთან მუშაობის პერიოდში სხვა სპეციალისტებისგან განსაკუთრებული მომართვა არასოდეს ყოფილა ნ.-ს თვითდამაზიანებელ, ან სხვათა დამაზიანებელ ქცევასთან დაკავშირებით. ნ. ხ. არის კომუნიკაბელური, კეთილგანწყობილი და პოზიტიური ბავშვი. გებულობს ინსტრუქციას, ასრულებს დავალებებს და შესაძლებლობის ფარგლებში თანამშრომლობს სპეციალისტებთან. ფსიქოლოგის განმარტებით, ნ. ხ.-ს ქცევა არასოდეს ყოფილა ხელისშემშლელი თანამშრომლობის პროცესში.

განმცხადებელმა სახალხო დამცველს ასევე წარმოუდგინა შპს „არტ თაიმ სტუდიასთან“ განხორციელებული მიმოწერის ამსახველი ე.წ. სკრინშოტები და დაწესებულების მიერ ფეისბუქ გვერდზე განთავსებული ფოტო და ვიდეო მასალა და საგანმანათლებლო დაწესებულება „ბურატინოს“ მხრიდან, ნ. ხ.-სთან მიმართებით, გაკეთებული შეფასების ამსახველი ე.წ. სკრინშოტები.

1.2. მოპასუხის პოზიცია

განსახილველ შემთხვევას, 2021 წლის 16 მარტს, სოციალური ქსელის მეშვეობით გამოეხმაურა³ „არტ-თაიმ სტუდია“. განცხადებაში აღინიშნა, რომ კომპანია ხუთწლიანი არსებობის მანძილზე ხშირად და სიამოვნებით მასპინძლობს ბავშვებს განურჩევლად სტატუსისა და დიაგნოზისა, თუმცა, არის კონკრეტული იშვიათი შემთხვევები, როდესაც სამაგიდო ჯგუფური აქტივობისთვის ბავშვი მზად არ არის. გარდა ამისა, სტუდიაში დასაქმებულ ახალგაზრდა მხატვრებს, სპეციალური პედაგოგის კვალიფიკაცია არ აქვთ, რაც განსხვავებული ქცევის მართვის პროცესში გარკვეულ წინაღობას ქმნის. სტუდიის შეფასებით, ნამალადევად, მათივე მიდგომებით, არასწორი გზით, ბავშვის ქცევის მართვა ჩიხში შეიყვანდა მის განვითარებას.

საქმისწარმოების ფარგლებში, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა შპს „არტ თაიმ სტუდიიდან“⁴. სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილ კორესპონდენციაში⁵ კომპანიის მხრიდან

² გაზეთი „აჭარა“, რატომ აპირებს სასამართლოში ჩვილს აღსაზრდელის მშობელი, 2021 წლის 23 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zYHbTF>

³ შპს „არტ-თაიმ სტუდიის“ 2021 წლის 16 მარტის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/ltd.arttimestudio>

⁴ სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 28 მაისის კორესპონდენცია N13-1/5087. წერილით მოთხოვნილი იყო პოზიციის წარმოდგენა განცხადებაში განხილულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ასევე - რა ღონისძიებებს ატარებს სტუდია სწავლების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით; როგორ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საჭიროებების შეფასება; რა ნაბიჯები გადაიდა სტუდიის მხრიდან ნ. ხ.-ს ქცევის მართვისა და სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით.

⁵ შპს „არტ-თაიმ სტუდიას“ 2021 წლის 29 ივლისის კორესპონდენცია

აღნიშნა, რომ სტუდიასა და ა. მ.-ს შორის შედგა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, სტუდია 1-2 დღის მანძილზე დააკვირდებოდა ნ. ხ.-ს ქცევას, რათა შეეფასებინა, რამდენად შეძლებდნენ მათ ხელთ არსებული რესურსებით მისთვის მომსახურების გაწევას. დაკვირვების შედეგად, აღმოჩნდა, რომ ნ.-ს გააჩნდა რთული ქცევა, რისი მართვის რესურსიც სტუდიას არ გააჩნდა. კომპანიის შეფასებით, დისკრიმინაციას მათი მხრიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა ადგილი, თუკი დადასტურდებოდა, რომ მათ ჰქონდათ მომსახურების გაწევის შესაძლებლობა, მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, მაინც უარს იტყოდნენ მომსახურებაზე.

მოპასუხემ წარმოდგენილ პოზიციაში დაადასტურა, რომ ნ. ხ. ორჯერ მივიდა „არტ-თაიმ სტუდიაში“ მომსახურების მისაღებად. კომპანიის განმარტებით, „არტ-თაიმ სტუდიისთვის“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა, რის გამოც, პირველივე დღეს, ნ.-ს რთული ქცევის მიუხედავად, გადაწყვიტეს მომსახურებაზე უარის თქმის ნაცვლად კიდევ ერთი დღით დაკვირვებოდნენ მას. მოპასუხის შეფასებით, მეორე დღეს ნ. ხ.-ს დახვდებოდა ნაცნობი გარემო, რაც, შესაძლებელია, დადებითად ასახულიყო მის ქცევაზე. აღნიშნულის მიუხედავად, ნ.-ს ქცევა მეორე დღეს იყო კვლავ რთული, რისი მართვის გამოცდილებაც კომპანიას არ გააჩნდა. რთული ქცევა გამოიხატა საღებავით დასვრილი ხელსახოცის გადაყლაპვაში, ასევე ფუნჯების ელექტროჩამრთველში მიერთებაში. ვინაიდან, კომპანიამ ჩათვალა, რომ მას არ გააჩნდა აღნიშნული ქცევის მართვის რესურსი, დაუკავშირდნენ მშობელს და შესთავაზეს, რომ ნ. ხ. გადაეყვანათ სხვა გაკვეთილებზე (შემეცნებით-გასართობ პროგრამაზე), სადაც უფრო მარტივი იქნებოდა ბავშვის რთული ქცევის მართვა. მოპასუხის შეფასებით, ხატვის გაკვეთილზე გამოიყენება, კონკრეტულად, ხატვისთვის განკუთვნილი მასალები და ინსტრუმენტები, რაც მოითხოვს ბავშვის შესაბამის უნარებს.

წარმოდგენილ პოზიციაში, მოპასუხემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „არტ-თაიმ სტუდიაში“ დაუნის სინდრომის მქონე სხვა ბავშვებიც ჰყლიათ, რომელთა ქცევის კონტროლიც სტუდიამ ეფექტურად შეძლო. ნ. ხ.-ზე დაკვირვების შემთხვევაში, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების აღმოჩენას, ჩათვალა, რომ მისი კონკრეტულად ხატვის გაკვეთილზე დასწრება საფრთხის შემცველი იყო როგორც მისთვის, ასევე სხვა ბავშვებისთვისაც.

1.3. განმცხადებლის დამატებითი პოზიცია

2021 წლის 27 აგვისტოს ა. მ.-მ საქართველოს სახალხო დამცველს წარმოუდგინა დამატებითი პოზიცია მოპასუხის მიერ დასახელებულ გარემოებებთან დაკავშირებით. ა. მ.-მ უარყო შპს „არტ-თაიმ სტუდიის“ მხრიდან რაიმე სახის ალტერნატიული სერვისის შეთავაზების ფაქტი. ამასთან, წარმოადგინა ა(ა)იპ „აბილიტაციის და განვითარების ცენტრის“ დახასიათება⁶ ნ. ხ.-სთან დაკავშირებით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ნ. ხ. ორი თვის ასაკიდან სარგებლობს ადრეული განვითარებისა და ფსიქოსომატური რეაბილიტაციის პროგრამით, აბილიტაციისა და განვითარების

⁶ ა(ა)იპ „აბილიტაციის და განვითარების ცენტრის“ 2021 წლის 20 აგვისტოს დახასიათება

ცენტრში იგი იღებს ადრეული განვითარების სპეციალისტის, ენისა და მეტყველების თერაპევტისა და ფსიქოლოგის მომსახურებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ნ. ხ.-ს უნარების შეფასება ხორციელდება ყოველ ექვს თვეში ერთხელ, ბოლო შეფასება კი განხორციელდა მიმდინარე წლის ივლისის თვეში. წარმოდგენილ დახასიათებაში ადრეული განვითარების სპეციალისტის, ენისა და მეტყველების თერაპევტისა და ფსიქოლოგის მიერ ნ. ხ. შეფასებულია, როგორც მოსიყვარულე და თბილი ბავშვი, რომელსაც უყვარს ბავშვებთან თამაში და ასრულებს მარტივ ინსტრუქციებს. დახატვის მიზნით იჭერს ფანქარს/პასტელს 3 თითით ჭერის პრინციპით, ჯდაბნის ფურცელზე და ცდილობს სქელი კონტურების დასმას, ასევე ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების გასმას. სპეციალისტთა მხრიდან ბავშვის ქცევასთან მიმართებით აღნიშნულია, რომ ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობის დროს ნ. ხ. არ ავლენს სხვების ან თვითდამაზიანებელ ქცევას.

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა ერთიანდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ფუნდამენტურ პრინციპებსა და უფლებებს შორის. ადამიანის ღირსებასთან კავშირის გამო, ეს პრინციპები ყველა უფლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის⁷.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფს როგორც კონსტიტუციით, ასევე საქართველოს სხვა კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით თანასწორ სარგებლობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს ისე მის მიზანს⁸. აღნიშნული მუხლის თანახმად, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის № 1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე N1/1/493, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II, 1).

სხვა ნიშნის მიხედვით“. ამასთან, „სახელმწიფო ვალდებულია შექმნას განსაკუთრებული პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“⁹.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე გულისხმობს - „შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში მათ მიერ ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზების მინიმუმამდე დაყვანა ან სრული უარყოფა; იგი მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის უარს გონივრულ მისადაგებაზე“, ხოლო ამავე მუხლის თანახმად გონივრული მისადაგება გულისხმობს - „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას“. კონვენციის სულისკვეთებას სრულად იზიარებს საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“¹⁰. კანონის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა გონივრული მისადაგებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად¹¹.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. ხოლო, ამავე კანონით განსაზღვრულია, რომ სახელმწიფომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა გონივრული მისადაგების უზრუნველსაყოფად. გონივრულ მისადაგებაზე უსაფუძვლო უარი კი აგრეთვე ჩაითვლება დისკრიმინაციად¹².

2.2. უარი გონივრულ მისადაგებაზე

გონივრული მისადაგება, შეზღუდული შესაძლებლობების კონტექსტში, დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ ვალდებულების არსებითი ნაწილია¹³.

⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11, პუნქტი 4

¹⁰ საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, მუხლი 2, პუნქტი „გ“, მუხლი 5

¹¹ საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, მუხლი 5, პუნქტი 2

¹² საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 2, პუნქტი 3³

¹³ იხ. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი No5 შშმ პირების შესახებ, პუნქტი 15

როგორც უკვე აღინიშნა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, გონივრული მისადაგება შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას. შესაბამისად, კონვენცია ადგენს გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის ვალდებულებას თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით¹⁴.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის განმარტების თანახმად, გონივრული მისადაგება ინდივიდუალიზებული რეაქტიული ვალდებულებაა, რომელიც მოქმედებს მისადაგების მოთხოვნის მიღებიდან. შესაბამისად, გონივრული მისადაგება უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ მომენტიდან, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი მოითხოვს მიუწვდომელ სიტუაციებსა თუ გარემოზე წვდომას, ან მოისურვებს საკუთარი უფლებების რეალიზაციას¹⁵.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს განსხვავება გონივრული მისადაგებისა (reasonable accommodation) და მისაწვდომობის (accessibility) ვალდებულებებს შორის. ორივე მათგანის მიზანს წარმოადგენს გარემოს, შენობების, პროდუქტების, კომუნიკაციისა თუ სხვა სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, თუმცა, მისაწვდომობის ზოგადი სტანდარტი, შესაძლოა, მაინც არასაკმარისი აღმოჩნდეს იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ვისაც განსაკუთრებით იშვიათი მდგომარეობა და მკვეთრად ინდივიდუალიზებული საჭიროებები გააჩნია. განსხვავებით მისაწვდომობის ზოგადი ვალდებულებისა, გონივრული მისადაგების პრინციპი კონკრეტული ინდივიდისთვის წარმოშობს უფლებას, მოითხოვოს კონკრეტული სერვისისა თუ პროდუქტის, ან გარემოს დაუყოვნებელი მოდიფიცირება და მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება იმისათვის, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი გახდეს ამ კონკრეტული პირისთვის¹⁶. გონივრული მისადაგების მაგალითებია: არსებული ობიექტებისა და ინფორმაციის მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის; აქტივობების რეორგანიზაცია; სამუშაოების ხელახალი გრაფიკის შედგენა; სასწავლო მასალისა და სწავლების სტრატეგიების მისადაგება; დამხმარე პერსონალის წვდომა¹⁷.

აღსანიშნავია, რომ გონივრული მისადაგების ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ სიტუაციით, რომელშიც მისადაგებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ითხოვს, ან სადაც

¹⁴ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 5, პუნქტი 3

¹⁵ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, CPRD/C/GC/6, 26.04.2018, პარ. 24

¹⁶ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, CPRD/C/GC/6, 26.04.2018

¹⁷ იქვე, პარ. 23

შესაძლებელია დამტკიცება, რომ ვალდებულების მქონე სავარაუდო პირმა ფაქტობრივად იცოდა შესაბამისი ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ. ის ასევე უნდა მოქმედებდეს ვითარებაში, სადაც ვალდებულების მქონე პოტენციურ პირს უნდა გაეანალიზებინა, რომ კონკრეტული ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობები მისადაგებას საჭიროებს უფლებათა რეალიზების ბარიერთა აღმოსაფხვრელად¹⁸.

გონივრულ მისადაგებაზე უარის, როგორც დისკრიმინაციის შემადგენელ ელემენტებზე მსჯელობამდე, მნიშვნელოვანია, შევასდეს შპს „არტ-თაიმ სტუდიის“ ქმედების შედეგად, თუ რა უფლებით სარგებლობაზე ეთქვა უარი ნ. ხ.-ს. მოცემულ შემთხვევაში, საკითხი ერთდროულად რამდენიმე უფლებას უკავშირდება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ „არტ თაიმ სტუდია“ წარმოადგენს საგანმანათლებლო და შემოქმედებით დაწესებულებას, სადაც ბავშვებისთვის შესაძლებელია სკოლამდელი განათლების მიღება, ასევე შემოქმედებით და სახელოვნებო (ხატვა, ძერწვა და სხვა) აქტივობებში ჩართვა. ამდენად, დაწესებულების მიერ შეთავაზებული მომსახურებით სარგებლობა ემსახურებოდა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ინსტრუმენტებით აღიარებული განათლების უფლების რეალიზებას¹⁹. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, განათლება ხელს უწყობს ინდივიდს, საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში, დამოუკიდებლად გაუძღვეს და მოაწყოს საკუთარი ცხოვრება. მისი საშუალებით ინდივიდები თავიანთი შესაძლებლობებით და უნარებით სწავლობენ თვითგანვითარებას. განათლების უფლების სრულყოფილ რეალიზაციაზე დამოკიდებული ადამიანის პიროვნული თავისუფლება, იმდენად, რამდენადაც შესაბამისი განათლების გარეშე ადამიანი რთულად თუ შეძლებს საკუთარი პიროვნების თავისუფალ განვითარებას²⁰.

განათლების უფლება მოიცავს, როგორც ფორმალურ, ისე - არაფორმალურ განათლებას²¹. არაფორმალური განათლება განიმარტება როგორც ნებისმიერი ინსტიტუციონალიზებული, ორგანიზებული სწავლება სახელმწიფოს მიერ განხორციელებული, ოფიციალურად აღიარებული ფორმალური სისტემის მიღმა²² და ფარავს პროგრამებს, რომლებიც ხელს უწყობს მოზრდილთა და ახალგაზრდების წიგნიერებას, ისევე როგორც - ცხოვრებისეული უნარების გამომუშავებასა და სოციალურ თუ კულტურულ განვითარებას²³. მათ შორისაა ჯგუფები, სადაც ახალგაზრდების

¹⁸ იქვე, პარ. 24

¹⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27; ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი, მუხლი 2; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 13

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის N2/3/540 გადაწყვეტილება საქმეზე: „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა ჟამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ნაწ. II, პარ. 16- 18

²¹ გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N13 (1999), განათლების უფლება (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლი), E/C.12/1999/10, 10.12.1999, პარ. 4

²² განათლების უფლებაზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში: განათლების უფლების რეალიზება არაფორმალური განათლების საშუალებით, A/HRC/35/24, 02.06.2017, პარ. 14

²³ იხ. განმარტება იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <http://uis.unesco.org/en/glossary-term/non-formal-education>

აქტივობები მოიცავს ერთობლივი პროექტების განხორციელებას, თამაშებს, დისკუსიას, ლაშქრობას და სხვა²⁴. მსგავსი პროგრამები, ხშირად, ავსებს ფორმალური განათლების სექტორში არსებულ ხარვეზებს და მრავალფეროვანი საშუალებებით უფრო და უფრო მეტი ადამიანისთვის უწყობს ხელს სწავლას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რის გამოც, ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოზრდილების განათლებით უზრუნველყოფის მნიშვნელოვან და ღირებულ მეთოდს წარმოადგენს²⁵. არაფორმალურ განათლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინკლუზიური განათლების კონტექსტში, ვინაიდან მისი მოქნილი და კონკრეტულ კონტექსტზე ორიენტირებული პირობებიდან გამომდინარე, უკეთ შეუძლია უპასუხოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებს²⁶.

განათლების მიღების მისაწვდომობას ხაზს უსვამს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის 24-ე მუხლი. კონვენცია განათლების უფლების დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში რეალიზებისათვის, აუცილებლად მიიჩნევს ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობას. რამდენადაც აღნიშნული ემსახურება - პიროვნების პოტენციალის სრულ გამოვლენას, ღირსებისა და საკუთარი თავის პატივისცემის გაღვივებას, ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებებისა და ადამიანთა მრავალფეროვნების პატივისცემის განმტკიცებას; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი პიროვნების, ნიჭისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უზრუნველყოფას თავისუფალ საზოგადოებაში ეფექტური ჩართვის შესაძლებლობით²⁷.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის განმარტებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განათლებაზე წვდომაზე პირდაპირ ან ირიბად უარის თქმა ან ნებისმიერი ფორმით ხელშეშლა შედეგად იწვევს მათ გარიყვას²⁸. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტიანად ჩართვასა და მონაწილეობას უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლება, რაც გულისხმობს მოდიფიკაციასა და ცვლილებებს შინაარსში, სასწავლო მეთოდებში, მიდგომებში, სტრუქტურებსა და სწავლების სტრატეგიებში, როგორც ფორმალურ, ისე - არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში, რათა შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი და

²⁴ იხ. განმარტება ევროსაბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://www.coe.int/en/web/european-youth-foundation/definitions>

²⁵ განათლების უფლებაზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში: განათლების უფლების რეალიზება არაფორმალური განათლების საშუალებით, A/HRC/35/24, 02.06.2017, სამდივნოს შენიშვნა, პარ. 34, 90

²⁶ იქვე, პარ. 40

²⁷ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხ. 24, პუნქტი 1

²⁸ აეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N4 (2016) ინკლუზიური განათლების შესახებ, CPRD/G/GC/4, 25.11.2016, პარ. 11

კომბინირებული სასწავლო გამოცდილება და გარემო²⁹. ამავდროულად, ეს გარემო საუკეთესოდ უნდა პასუხობდეს მათ მოთხოვნილებებს³⁰.

განათლების უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან და პირის შესაძლებლობასთან, ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავის მხრივ, სხვა ადამიანებთან ურთიერთობა და გარე სამყაროსთან კავშირი პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლებით დაცულ სფეროს მიეკუთვნება³¹. აღნიშნული კუთხით, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას სკოლამდელი აღზრდის საფეხურზე საგანმანათლებლო და შემოქმედებითი დაწესებულებების როლს. მსგავსი დაწესებულებების მომსახურება ბავშვებისთვის, მნიშვნელოვანია, არამარტო იმისთვის რომ ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა სახელოვნებო აქტივობებში, არამედ იმითაც რომ ისინი სწავლობენ თანატოლებთან, უფროსებთან ურთიერთობას, საზოგადოებაში ქცევას, ერთმანეთისთვის ნივთების გაზიარებას, გუნდურად აქტივობების განხორციელებას და სხვა მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ საკითხებს, რაც ეხმარება მათ საზოგადოებაში თავის დამკვიდრებასა და სრულყოფილ ინკლუზიაში. გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებლის განმარტებით, ხატვით, ძერწვითა და მსგავსი აქტივობებით დატვირთვა წარმოადგენდა ფსიქოლოგის რეკომენდაციას, რათა ნ. ხ.-ს მისცემოდა შესაძლებლობა უკეთ გამოემუშავებინა სოციალური უნარ-ჩვევები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლით გარანტირებულია დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი ჩართვის უფლება, ასევე გამოყოფილია აღნიშნული მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებები, რომელთა შორისაცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით საზოგადოებრივი სარგებლობის მომსახურებებისა და ობიექტების თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის განმარტებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა მოიცავს წვდომას საზოგადოებისათვის შეთავაზებულ ყველა სერვისზე, რომელიც შეიძლება მიემართებოდეს, მათ შორის, ისეთ სფეროებს, როგორებიცაა განათლება და რეკრეაციული აქტივობები და ნებისმიერ აქტივობაზე, რომლებშიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს სურს მონაწილეობა³². მსგავსი წვდომის არარსებობა კი, თავის მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ქმნის არჩევანის ნაკლებობას, რის გამოც, ისინი ვერ ახორციელებენ არჩევანის უფლებას, რაც დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის უფლების მთავარ იდეას წარმოადგენს³³.

²⁹ იქვე, პარ. 11

³⁰ იქვე

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის N1/2/458 განჩინება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, ნაწ. II, პარ. 4; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: CASE OF P.G. AND J.H. v. THE UNITED KINGDOM, პარ. 56

³² გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N5 (2017) დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებაში ჩართულობის შესახებ, CPRD/G/GC/5, 27.10.2017, პარ. 16

³³ იქვე, პარ. 24-25

მოცემულ შემთხვევაში, ნ. ხ.-მ ვერ შეძლო ესარგებლა დაწესებულების მომსახურებით და ვერ ჩაერთო დაწესებულების მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო და შემოქმედებით აქტივობებში. შესაბამისად, ნ. ხ.-ს უარი ეთქვა განათლების, პიროვნების თავისუფალი განვითარების, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი ჩართვის უფლებების რეალიზებაზე.

2.2.1. აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელება

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის შეფასებით, გონივრული მისადაგების ვალდებულება, რომელსაც კონვენციის მე-2 და მე-5 მუხლები ითვალისწინებს, შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირველი აწესებს პოზიტიურ სამართლებრივ ვალდებულებას ისეთი გონივრული მისადაგების უზრუნველყოფაზე, რომელიც გულისხმობს **აუცილებელი და სათანადო მოდიფიკაციებისა და კორექტივების მიღებას** კონკრეტულ შემთხვევებში, კერძოდ, როდესაც ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აუცილებლად ესაჭიროება საკუთარი უფლებებით სარგებლობისათვის. ამ ვალდებულების მეორე ნაწილი კი უზრუნველყოფს, რომ გონივრული მისადაგება ვალდებულების მქონე პირს **დაუბლველ და გაუმართლებელ სირთულეებს** არ აკისრებდეს³⁴.

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე მხარის მიერ მომსახურების გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველად დასახელდა განმცხადებლის შვილის ქცევითი ხასიათის დარღვევები, რაც საფრთხეს უქმნიდა თვითონ მას და გარშემომყოფებს. ნ. ხ.-ს ქცევის შეფასებისას, სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს ფსიქოლოგ ნათია გორგილაძის შეფასებაზე ნ. ხ.-სთან დაკავშირებით. ფსიქოლოგის შეფასებით, ნ. ხ.-ს ქცევა არასოდეს ყოფილა ხელისშემშლელი თანამშრომლობის პროცესში. განვითარების თვალსაზრისით, მას აქვს გარკვეული სირთულეები, თუმცა, ქცევასთან დაკავშირებით პრობლემა არასოდეს ჰქონია და ბავშვთან მუშაობის პერიოდში სხვა სპეციალისტებისგან განსაკუთრებული მომართვა ნ. ხ.-ს თვითდამაზიანებელ, ან სხვათა დამაზიანებელ ქცევასთან დაკავშირებით არასოდეს ყოფილა³⁵. საყურადღებოა ასევე ა(ა)იპ „აბილიტაციის და განვითარების ცენტრის“ სპეციალისტთა შეფასება ბავშვის ქცევასთან მიმართებით. დახასიათებაში აღნიშნულია, რომ ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობის დროს ნ. ხ. არ ავლენს სხვების ან თვითდამაზიანებელ ქცევას³⁶.

ნ. ხ.-ს საგაკვეთილო პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით საინტერესოა არტ სტუდია „ბურატინოს“ შეფასება, სადაც აღნიშნული ფაქტის შემდეგ ბავშვი გადაიყვანეს. ნ. ხ.-ს დახასიათებაში პედაგოგების მხრიდან აღნიშნულია, რომ ბავშვი სრულად ჩართულია საგაკვეთილო პროცესში, ისმენს, აანალიზებს და რიგის დაცვით, მშვიდად ელოდება მის დავალებას, გამოხატავს დიდ ინტერესს გაკვეთილის მიმართ და მუშაობის პროცესში არ საჭიროებს სპეციალური მიდგომის

³⁴ იქვე, პარ. 25

³⁵ გაზეთი „აჭარა“, რატომ აპირებს სასამართლოში ჩივილს აღსაზრდელის მშობელი, 2021 წლის 23 მარტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zYHbTF>

³⁶ ა(ა)იპ „აბილიტაციის და განვითარების ცენტრის“ 2021 წლის 20 აგვისტოს დახასიათება

გამოყენებას პედაგოგის მხრიდან, მათ შორის არც სპეციალურ მასწავლებელს. პედაგოგთა შეფასებით, ნ. ხ. დამოუკიდებლად ახერხებს, თავი გაართვას ყველა ნივთის უსაფრთხოდ გამოყენებას, არ არის აგრესიული არც მეგობრების და არც საკუთარი თავის მიმართ, გამოირჩევა ყველა ბავშვის მიმართ თბილი და მეგობრული ურთიერთობით³⁷.

როგორც უკვე აღინიშნა, გაეროს კონვენციის მიერ დამკვიდრებული სტანდარტის გათვალისწინებით, გონივრული მისადაგების უზრუნველსაყოფად არ არის აუცილებელი მასზე ცხადად მითითება, მომსახურების მიწოდებელს ეკისრება პასუხისმგებლობა, თავად ამოიცნოს და განსაზღვროს, კონკრეტული ადამიანის შეზღუდული შესაძლებლობები საჭიროებს თუ არა მისადაგებას უფლებათა რეალიზების ბარიერთა აღმოსაფხვრელად³⁸. განსახილველ შემთხვევაში, შპს „არტ-თაიმ სტუდიას“ მომსახურებაზე უარის თქმისას არ განუხილავს, გონივრული მისადაგების პრინციპიდან გამომდინარე, შესაფერისი ალტერნატივებისა და სასწავლო პროცესის მოდიფიკაციის შესაძლებლობა. სახალხო დამცველის შეფასებით, მომსახურების მიწოდების შეწყვეტამდე მოპასუხე მხარეს უნდა მიეღო გონივრული ზომები, რათა ნ. ხ.-ს შეძლებოდა მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სხვა ბავშვების თანასწორად, ესარგებლა სტუდიის მომსახურებით. მსგავსი ზომები შესაძლოა ყოფილიყო გარემოსთან ადაპტირების პროცესში მშობლის დახმარება - მშობელს მისცემოდა შესაძლებლობა მცირე ხნით, დაწესებულების თანამშრომლებთან ერთად დასწრებოდა საგაკვეთილო პროცესს და ნ. ხ.-ს სხვადასხვა აქტივობებში ჩართვაში დახმარებოდა; ბავშვის სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის საკითხებზე მომხდარიყო კონსულტაციის გავლა ნ. ხ.-ს ფსიქოლოგთან. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოპასუხემ უპირობოდ შეწყვიტა ნ. ხ.-სთვის მომსახურების მიწოდება.

2.2.2. დაუძლეველი და გაუმართლებელი სირთულეების არსებობა

იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დაუძლეველი ან გაუმართლებელია მისადაგება, აუცილებლად მოითხოვს მიზნების, ანუ განსახილველი უფლებით სარგებლობისა და გამოყენებულ საშუალებათა პროპორციულობის შეფასებას³⁹. ამასთან, გონივრულ მისადაგებაზე უარის ნებისმიერი დასაბუთება ობიექტურ კრიტერიუმებს უნდა ეფუძნებოდეს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს დროულად, შესაბამისი ანალიზის თანხლებით მიეწოდოს⁴⁰. მტკიცების ტვირთი სრულად ეკისრება ვალდებულების მქონე პირს, რომელიც განაცხადებს, რომ მასზე დაკისრებული სირთულეები დაუძლეველი და გაუმართლებელია⁴¹.

³⁷ ა. მ.-სა და საგანმანათლებლო დაწესებულება „ბურატინოს“ შორის განხორციელებული მიმოწერის ამსახველი ე.წ. სკრინშოტები

³⁸ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N6 (2018) თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ, CPRD/C/GC/6, 26.04.2018, პარ. 24

³⁹ იქვე, პარ. 26, პუნქტი (d)

⁴⁰ იქვე, პარ. 27

⁴¹ იქვე, პარ. 26, პუნქტი (g)

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ არათანასწორ მდგომარეობაში მყოფ პირთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებას წარმოადგენს და არ შეიძლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დაეკისროთ გონივრული მისადაგების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული ხარჯები⁴². სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ განცხადებაში, მოპასუხე უთითებს, რომ სტუდიაში დასაქმებულ ახალგაზრდა მხატვრებს არ აქვთ სპეციალური პედაგოგის კვალიფიკაცია, რაც გარკვეულ წინაღობას ქმნის განსხვავებული ქცევის მართვის პროცესში. აღნიშნულთან მიმართებით სახალხო დამცველი განმარტავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მომსახურებასა და სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა ყველა საჯარო თუ კერძო დაწესებულებისთვის უპირობო ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნული ვალდებულებიდან გამომდინარე შპს „არტ-თაიმ სტუდია“, როგორც გარკვეული ტიპის მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება, ვალდებულია, შექმნას ინკლუზიური გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და მაქსიმალურად უზრუნველყოს მასწავლებელთა პროფესიული ცოდნის შესაბამისობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ქცევის საჭიროებებთან. ამდენად, მისაწვდომობის ზოგადი ვალდებულებიდან გამომდინარე, პედაგოგთა შესაბამისი კვალიფიკაციის არ არსებობა ვერ ჩაითვლება გონივრულ მისადაგებაზე უარის გამამართლებელ გარემოებად. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დამატებითი ხარჯების შესახებ მოპასუხეს არ მიუთითებია.

მოპასუხე მხარის მხრიდან ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ „არტ-თაიმ სტუდიაში“ წარსულში დაუნის სინდრომის მქონე სხვა ბავშვებიც ჰყოლიათ, რომელთა ქცევის კონტროლიც სტუდიამ ეფექტურად შეძლო. სახალხო დამცველის შეფასებით, ნ. ხ.-ს სხვა ბავშვებთან მიმართებით არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას არ გამოორიცხავს ის გარემოება, რომ სტუდია მომსახურებას უწევს როგორც დაუნის სინდრომის, ასევე სხვა დიაგნოზის მქონე ბავშვებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობის გამოცდილებების არსებობა ორმაგად ზრდის კომპანიის პასუხისმგებლობას, სწორად ამოიცნოს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მოთხოვნილება და შეთავაზებული მომსახურება მაქსიმალურად მიუსადაგოს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ნ. ხ.-ს ქცევა ექსპერტთა მხრიდან არ ყოფილა შეფასებული, როგორც რთული.

ამდენად, მოპასუხე მხარემ ვერ წარმოადგინა სათანადო და დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომელიც სახალხო დამცველს განმცხადებლის მიმართ წარმოშობილ დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს გაუქარწყლებდა.

3. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ შპს „არტ თაიმ სტუდიის“ მხრიდან ნ. ხ.-ს უარი ეთქვა გონივრულ მისადაგებაზე, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

⁴² იქვე, პარ. 26, პუნქტი (f)

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20¹ მუხლითა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი მოგმართავთ რეკომენდაციით:

- მომავალში, საქმიანობის განხორციელებისას, გაითვალისწინოთ თქვენ მიერ შეთავაზებული მომსახურების მიმღებ პირთა განსხვავებული საჭიროებები და მომსახურება განახორციელოთ იმგვარად, რომ ყველა ბავშვისთვის უზრუნველყოფილი იყოს თქვენი მომსახურებით თანასწორად სარგებლობის შესაძლებლობა;
- უზრუნველყოთ მასწავლებელთა პროფესიული ცოდნის ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ქცევის მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,